ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“ -ს

სხდომის ოქმი N -01

დ.ლენტეხი **25.03.2026 წ.**

მიმდინარე წლის 25 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“ სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე დალი ტვილდიანი, წევრი მურადი ჩანქსელიანი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლის ქურასბედიანი, მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები მევლუდ ლიპარტელიანი,ცირა ლიპარტელიანი, კახა ლიპარტელიანი, ზურაბ ონიანი, ელდარ ლიპარტელიანი.

ფრაქციის სხდომას ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

ფრაქციის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა ფრქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა;

/მომხს. / ფრაქცია „ხალხის ძალა“ თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა წევრებთან ერთად განიხილა 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ანგარიშთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა ფრაქციის წევრმა დალი ტვილდიანმა: **რომელი პრიორიტეტების დაფინანსება მოხდა 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტად?**

პასუხი: 2025 წელს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

ფრაქციის წევრმა მურადი ჩანქსელიანმა დასვა შემდეგი შეკითხვა:

რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა მოსახლეობიის ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

პასუხად მომხსენებელმა აღნისნა, რომ მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებით 2025 წელს დაიხარჯა 261 000 ლარი;

მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს მოწვეულმა სტუმრებმაც.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ფრაქციის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება - ცნობად იქნეს მიღებული 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა - ფრაქციის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა როგორც თემის მაჟორიტარმა სამსჯელო გახადა თემში არსებულ პრობლემური საკითხები, კერძოდ სოფლის მაღაზიებში არსებულ სურათის ვადის და ხარისხის კონტროლი და და გარე განათების საკითხი.

აღნიშნული საკითხების განხილვა საკმაოდ აქტუალური იყო ფრაქციის სხდომაზე დამსწრე პირებისთვის. იმსჯელეს და გადაწყვიტეს: დაიწყოს ეტაპობრივად აღნიშნული საკითხების მოკვლევა და განხილვა.

ფრაქცია ,,ხალხის ძალას" სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

ფრაქცია ხალხის ძალა

თავმჯდომარე /**სოსო ავალიანი**/